ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №95

2011 წლის 12 აგვისტო
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეზე ქ.ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე სანიაღვრე კანალიზაციის რეაბილიტაციისა და სატუმბო სადგურის მოწყობის დასრულებული პროექტის სესხის გადახდის გრაფიკის ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტისა და 33-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს (ნ. ბერაძე) მიენიჭოს უფლებამოსილება თვითმმართველი ერთეულის სახელით ხელი მოაწეროს ქ.ქობულეთში, მეგობრობის ქუჩაზე სანიაღვრე კანალიზაციის რეაბილიტაციისა და სატუმბო სადგურის მოწყობის დასრულებული პროექტის სესხის გადახდის გრაფიკის ხელშეკრულებას.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე